ელექტროენერგიის ბაზარი საქართველოში - აპრილი 2026

20 მაისი 2026

მარიამ ჩახვაშვილი
სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge

დაჩი მუჯირიშვილი
უფროსი ანალიტიკოსი | dmujirishvili@gt.ge

ძირითადი ტენდენციები

აპრილი 2026

ჰიდროგენერაცია ბოლო 5 წლის მინიმუმზე იყო, რის გამოც აპრილში თბოსადგურსა და იმპორტზე დამოკიდებულება 20.7%-ს შეადგენდა

2026 წლის აპრილში ადგილობრივი ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 2.1%-ით გაიზარდა და 1.1 ტვტ.სთ შეადგინა. ამავე დროს, ჰიდროგენერაცია 19.3%-ით შემცირდა, რაც ჰიდროლოგიურ პირობებს უკავშირდება. შედეგად, თბოგენერაციისა და იმპორტის ერთობლივი წილი ჯამურ მიწოდებაში 20.7%-მდე გაიზარდა, 2021-25 წლების აპრილის საშუალო 6.0%-თან შედარებით.

აღნიშნული კიდევ ერთხელ აჩვენებს ჰიდროგენერაციაზე დამოკიდებულებით გამოწვეულ მოწყვლადობას და ახალი გენერაციის წყაროების დაჩქარებული განვითარების საჭიროებას.

2026 წლის პირველი 4 თვე

იმპორტისა და თბოგენერაციის მაღალი წილი ახალი გენერაციის დაჩქარებული განვითარების საჭიროებას კვლავ აჩვენებს

2026 წლის პირველ ოთხ თვეში ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 6.6%-ით გაიზარდა 5.1 ტვტ.სთ-მდე. ჩვენი შეფასებით, ზრდა განსაკუთრებით ცივ ზამთარს და ფეროშენადნობების სექტორების გააქტიურებას უკავშირდება.

2026 წლის პირველ ოთხ თვეში, თბოგენერაციისა და იმპორტის წილმა ჯამურ მიწოდებაში 44.3% შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება (39.2%). ზრდა ძირითადად აპრილში სუსტ ჰიდროლოგიასა და წლის დასაწყისში ენგურის წყალსაცავში დაბალ წყლის დონეს უკავშირდებოდა.

ამასთან, თურქეთი 2026 წლის 4 თვიდან უკვე 3 თვეში იყო იმპორტის მთავარ წყაროებს შორის, რაც იმპორტში გაზრდილ კონკურენციასა და შესაძლო სტრუქტურულ ცვლილებაზე მიუთითებს.

მთლიანობაში, იმპორტისა და თბოგენერაციის მაღალი წილი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ახალი გენერაციის დაჩქარებული განვითარების საჭიროებას.

ცხრილი 1: ელექტროენერგიის ბალანსი, აპრილი 2026

ბალანსი	ტვტ.სთ	წლიური ზრდა	წილი საერთო მოცულობაში
მოთხოვნა	**1.2**	**+2.9%**	**100%**
ადგილობრივი მოხმარება	1.1	+2.1%	95.5%
ექსპორტი	0.017	-27.1%	1.4%
დანაკარგი	0.04	-15.4%	3.1%
მიწოდება	**1.2**	**+2.9%**	**100%**
ადგილობრივი გენერაცია	1.2	-1.5%	95.7%
იმპორტი	0.05	N/A	4.3%

წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

ცხრილი 2: ელექტროენერგიის ბალანსი, 4M26

ბალანსი	ტვტ.სთ	წლიური ზრდა	წილი საერთო მოცულობაში
მოთხოვნა	**5.3**	**+6.9%**	**100%**
ადგილობრივი მოხმარება	5.1	+6.6%	96.2%
ექსპორტი	0.029	-27.1%	0.5%
დანაკარგი	0.2	+1.4%	3.2%
მიწოდება	**5.3**	**+6.9%**	**100%**
ჰიდრო, ქარი, მზე	2.9	-2.1%	55.7%
თბოგენერაცია	1.2	+25.4%	22.9%
იმპორტი	1.1	+16.3%	21.4%

წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

ელექტროენერგიის მოხმარება: მოხმარების ზრდა საცალო სეგმენტმა და აფხაზეთმა განაპირობა

ადგილობრივი მოხმარება 2026 წლის აპრილში 1.1 ტვტ.სთ იყო, რაც წლიურად 2.1%-იანი ზრდაა. ამ ზრდას საცალო მომხმარებლები (+5.1% წ/წ) და აფხაზეთი (+7.3% წ/წ) განაპირობებდა. პირდაპირი მომხმარებლების მოხმარება წლიურად 8.5%-ით შემცირდა, ძირითადად კრიპტო-მაინინგისა და მონაცემთა ცენტრების კომპანიების დაბალი აქტივობის გამო.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარების პროფილი მომხმარებელთა ჯგუფების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა 1: **საცალო მოხმარება** მოიცავს ეპ ჯორჯია მიწოდების, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და თელასის მოხმარებას.
შენიშვნა 2: **პირდაპირ მომხმარებლად** სავალდებულო რეგისტრაციის კრიტერიუმი ამჟამად შეადგენს თვეში 0.4 გვტ.სთ მოხმარებას. კრიტერიუმის გადახედვა დაგეგმილია 2026 წლის ივლისში.

ელექტროენერგიის გენერაცია: ჰიდროგენერაციამ წლიურად მნიშვნელოვნად იკლო, რაც ძირითადად თბოგენერაციით დაბალანსდა

2026 წლის აპრილში ჰიდროგენერაცია წლიურად 19.3%-ით შემცირდა, სუსტი ჰიდროლოგიის გამო, და ჯამური მიწოდების 78% შეადგინა. შედარებისთვის, 2021-24 წლებში აპრილში ჰიდრო საშუალოდ მიწოდების 93%-ს აკმაყოფილებდა. წელს დაგვიანებულმა დათბობამ თოვლის დნობა შეაფერხა, რის გამოც წყლის დონე მხოლოდ აპრილის ბოლოს გაიზარდა, მაშინ როცა წინა წლებში მაღალი ჰიდროგენერაცია აპრილის დასაწყისიდან ფიქსირდებოდა. შედეგად, აპრილისთვის უჩვეულოდ გაიზარდა თბოსადგურებისა (ჯამური მიწოდების 16.5%) და იმპორტის (ჯამური მიწოდების 4.3%) საჭიროება.

აპრილის თვეში ამოქმედდა 3 ელექტროსადგური: ტესტირების რეჟიმში გაეშვა 2 ჰიდროსადგური - ჭიორა ჰესი და ბახვი 2ბ ჰესი, ჯამურად 40 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრით; ხოლო ექსპლუატაციაში შევიდა 18.7 მგვტ-იანი "ზემო ქარის სადგური".

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

ელექტროენერგიის იმპორტი: 2026 წლის აპრილში კომერციული იმპორტი მხოლოდ თურქეთიდან განხორციელდა

2026 წლის აპრილში ელექტროენერგიის იმპორტმა 51 გვტ.სთ შეადგინა (ჯამური მიწოდების 4.3%), თუმცა აქედან კომერციული იმპორტი მხოლოდ ნახევარი, თურქეთიდან შემოტანილი 24.8 გვტ.სთ იყო. დანარჩენი მოცულობიდან 9 გვტ.სთ რუსეთიდან შემოვიდა აფხაზეთის რეგიონისთვის, ხოლო აზერბაიჯანთან 17 გვტ.სთ იმპორტი სრულად დაბალანსდა იმავე მოცულობისა და ღირებულების ექსპორტით. აზერბაიჯანთან დღის ჭრილშიც იდენტური მოცულობების იმპორტი და ექსპორტი მიუთითებს, რომ ეს ტრანზაქციები კომერციული ვაჭრობა არ ყოფილა და სინქრონული მუშაობის ტექნიკურ საჭიროებებს უკავშირდებოდა.

თურქეთიდან იმპორტი 16-22 აპრილს, თბოსადგურების გაჩერების პერიოდში განხორციელდა. მისი ღირებულება 0.7 მლნ აშშ დოლარს, ხოლო საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 2.9 აშშ ცენტს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ 2026 წელს, თებერვლის გარდა, თურქეთიდან იმპორტი ყველა თვეში განხორციელდა, რაც თურქეთის ბაზარზე ისტორიულად დაბალ ფასებს უკავშირდება. ფასების შემცირება, თავის მხრივ, ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო გაზრდილ განახლებად გენერაციას უკავშირდებოდა.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის იმპორტი და ექსპორტი, <u>გვტ.სთ</u>



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

საბალანსო ბაზარი და ფასები

საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო ფასი აპრილში წლიურად 5.0%-ით შემცირდა და კვტ.სთ-ზე 5.8 აშშ ცენტი შეადგინა.

ამასთან, საბალანსო მოცულობა 21.7%-ით გაიზარდა და 0.4 ტვტ.სთ იყო, რაც ჯამური მიწოდების 32.6%-ს შეადგენს.

გრაფიკი 4: საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა (ტვტ.სთ) და ფასი (აშშ ცენტი/კვტ.სთ)



წყარო: სემეკი, ესკო, საქსტატი, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: საშუალო ფასი გულისხმობს ესკოს საბალანსო ელექტროენერგიის გასაყიდ ფასს

ელექტროენერგიის ბალანსი, გვტ.სთ

	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026F
ადგილობრივი მოხმარება, ჯამური	**12,136**	**13,730**	**14,165**	**13,053**	**13,834**	**14,317**	**14,978**
% ცვლილება წ/წ	*-4.9%*	*13.1%*	*3.2%*	*-7.9%*	*6.0%*	*3.5%*	*4.6%*
საიდანაც:							
აფხაზეთის რეგიონი	2,552	2,956	3,029	2,703	2,553	2,486	2,642
% ცვლილება წ/წ	*23.9%*	*15.8%*	*2.5%*	*-10.8%*	*-5.6%*	*-2.6%*	*6.3%*
პირდაპირი მომხმარებლები	2,438	3,554	3,726	2,779	3,142	3,430	3,765
% ცვლილება წ/წ	*-14.9%*	*45.8%*	*4.8%*	*-25.4%*	*13.1%*	*9.2%*	*9.8%*
საცალო ბაზრის მოხმარება	7,146	7,219	7,411	7,572	8,139	8,401	8,571
% ცვლილება წ/წ	*-8.8%*	*1.0%*	*2.7%*	*2.2%*	*7.5%*	*3.2%*	*2.0%*
ადგილობრივი გენერაცია, ჯამური	**11,160**	**12,645**	**14,247**	**14,396**	**14,234**	**13,838**	**14,522**
% ცვლილება წ/წ	*-5.9%*	*13.3%*	*12.7%*	*1.0%*	*-1.1%*	*-2.8%*	*4.9%*
საიდანაც:							
თბოსადგურები	2,821	2,380	3,388	3,446	2,812	2,767	2,696
% ცვლილება წ/წ	*-0.7%*	*-15.6%*	*42.4%*	*1.7%*	*-18.4%*	*-1.6%*	*-2.6%*
ქარის და მზის სადგურები	91	83	87	86	78	84	104
% ცვლილება წ/წ	*7.3%*	*-8.2%*	*5.0%*	*-1.6%*	*-9.9%*	*8.3%*	*24.2%*
ჰიდროსადგურები	8,248	10,182	10,771	10,863	11,344	10,987	11,721
% ცვლილება წ/წ	*-7.7%*	*23.4%*	*5.8%*	*0.9%*	*4.4%*	*-3.2%*	*6.7%*
საგარეო ვაჭრობა							
იმპორტი	1,610	2,006	1,533	790	1,228	1,558	1,975
% ცვლილება წ/წ	*-1.0%*	*24.6%*	*-23.6%*	*-48.5%*	*55.4%*	*26.9%*	*26.8%*
ექსპორტი	154	391	971	1,468	1,047	511	875
% ცვლილება წ/წ	*-36.8%*	*154.2%*	*148.4%*	*51.2%*	*-28.7%*	*-51.2%*	*71.2%*
სავაჭრო ბალანსი	**-1,456**	**-1,615**	**-562**	**679**	**-180**	**-1,046**	**-1,100**
% ცვლილება წ/წ	*5.3%*	*10.9%*	*-65.2%*	*-220.7%*	*-126.5%*	*480.8%*	*5.2%*
ტრანზიტი	**204**	**1,135**	**2,933**	**3,444**	**1,074**	**665**	
% ცვლილება წ/წ	*-25.2%*	*457.8%*	*158.3%*	*17.4%*	*-68.8%*	*-38.1%*	

წყარო: სემეკი, ესკო, მაცნე, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: 2026F მონაცემები დაფუძნებულია ეკონომიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ 2026 წლის საპროგნოზო წლიურ ბალანსზე

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge